პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 109
(7420)

8 ივნისი, 1983 წ.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილება — ცხოვრებაში!

მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა სახელმწიფოებრივი საქმეა!

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის შემდგომი განვითარების სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა.

სხდომაზე განიხილეს საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილების „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ შესასრულებლად ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში გაწეული მუშაობის შესახებ“.

ლამაზი და ზოგადი სიტყვების გარეშე

სამუშაო ჯგუფის წევრთა მსჯელობის საგანმა — ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის, მოზარდთა ჯანმრთელობის და, აქედან გამომდინარე, მათი სრულყოფილ მოქალაქეებად და სანიმუშო მამულიშვილებად ჩამოყალიბების საქმის აქტუალობამ განაპირობა ის მაღალი კრიტიკული და უკომპრომისო განწყობა, რაც წითელ ზოლად გაჰყვა სხდომას. მონაწილეთა გამოსვლებში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემებს ვერა და ვერ გადავჭრით ლამაზი და ზოგადი სიტყვებით; რომ სწორედ აქ გვმართებს საქმისადმი უაღრესად სერიოზული, დაინტერესებული და კონკრეტული მიდგომა.

სხდომაზე აღინიშნა ის პოზიტიური ძვრებიც, რაც უკვე შეინიშნება ამ უბანზე. კერძოდ ითქვა, რომ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო, საქალაქო და რაიონულ სპორტულ სკოლებში ბოლო ხანებში გარკვეული მუშაობა ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ხარისხის, ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად: დედაქალაქში აშენდა ახალი სკოლები სპორტული დარბაზებით; მწყობრში ჩადგა კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსები გლდანისა და დიღმის მასივებში; სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით გაიხსნა ახალი სპეცკლასები; სკოლებში ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები და ე. წ. „დიდი დასვენება“, რომელიც მთლიანად მოძრავ თამაშებს ეთმობა, მკვიდრდება „ჯანმრთელობისა“ და „სპორტის დღეების“ ჩატარების კარგი პრაქტიკა და ა. შ.

სხდომის მონაწილეებმა პრინციპულ საუბარში დაასკვნეს, რომ ყოველივე ეს სრულიადაც არაა საკმარისი იმისთვის, რათა ნაწილობრივ მაინც გადაჭრილად ჩაითვალოს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის სისტემაში არსებული რთული პრობლემები.

თბილისის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში მიღწეული შედეგები გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, სახალხო განათლების ცალკეულ რგოლებში სრულად რომ იყენებდნენ არსებულ შესაძლებლობებს, ავლენდნენ დამატებით რეზერვებს, — ითქვა სხდომაზე. სამწუხაროდ, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის განვითარების ტემპი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, განათლების განყოფილებების და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა მოკლებულია კონკრეტულობას, მეტწილად ზერელეა, აკლია ანალიტიკურობა და არ შეიცავს ვითარების ღრმა შეფასებიდან გამოტანილ დასკვნებს. ქალაქის განათლების სამმართველომ ვერ შეძლო შეექმნა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესის მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა. მისი მუშაობის სტილი და მეთოდები მოძველებულია და ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. არ არის დამკვიდრებული მომთხოვნელობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვის ატმოსფერო.

განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეასუსტეს კონტროლი და პასუხისმგებლობა სკოლების დირექტორებისადმი, მათი მოადგილეებისადმი და მასწავლებელთა კადრებისადმი. სკოლის ხელმძღვანელობა და პედკოლექტივი კომპლექსურად არ ასრულებენ იმ მოთხოვნებს, რასაც მათ ავალებს დებულება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ“. არასაკმარისად გამოიყენება ფიზკულტურისა და სპორტის შესაძლებლობები ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად, როგორიცაა მოსწავლე-ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი, შრომითი, პატრიოტული და კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდა, მათი ჰარმონიული განვითარება, სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის და ნაკრები გუნდებისათვის ღირსეული სპორტული ცვლის მომზადება.

ერთ-ერთი მთავარი ფიგურა

სასკოლო ფიზკულტურული მოძრაობის წინსვლა დღეს წარმოუდგენელია მრავალ ადამიანთა და ორგანიზაციათა უშუალო, პირადი, სისხლხორცეული დაინტერესების გარეშე. ვიდრე სკოლის თითოეული დირექტორი, თითოეული პედაგოგი, აღმზრდელი, პედკოლექტივი, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საქმეს არ ჩათვლიან უპირველეს და ღვიძლ საქმედ, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში გამოიკვეთა ის აზრი, რომ სასკოლო ფიზკულტურის, ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა **აღმზრდელი, მასწავლებელი, მწვრთნელი!** სამუშაო ჯგუფმა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები ზერელედ, ხშირად კი უგულისყუროდაც ეკიდებიან მოწინავე მწვრთნელ-მასწავლებელთა შრომის შეფასებას, რის გამოც ხშირია სპეციალისტთა დენადობა. არ არის შემოღებული საუკეთესო მასწავლებელთა და მწვრთნელთა წარჩინების და მათი წახალისების ეფექტური ფორმები, ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. ყოველივე ეს გულს უტეხს ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებს და მათი ნაწილი ტოვებს სკოლას.

ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ მასწავლებლებს უბიძგებს ისიც, რომ ხშირად მათ ტვირთავენ ისეთი სასკოლო, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე ღონისძიებებით, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასთან. ამავე დროს ფიზაღზრდის მასწავლებელთა შრომის მოცულობა ორჯერ აღემატება სხვა საგნების მასწავლებელთა დატვირთვას.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი როდია, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა დენადობა მეტად მაღალია. ფიზკულტურის მასწავლებლები დღეისათვის არ ჰყოფნით თბილისის 39-ე, 55-ე, 87-ე, 90-ე, 114-ე, 115-ე და 151-ე სკოლებში.

სხდომის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შრომის ნიველირება, ის, რომ ერთნაირად ფასდება ჩვეულებრივი, უინიციატივო და უნიათო მასწავლებელი და ენთუზიასტი — ჩემპიონისა თუ რეკორდსმენის აღმზრდელი პედაგოგი, ყოვლად დაუშვებელია. **აქვე მთელი სიმწვავით ითქვა იმ ვაიპედაგოგებზე, რომლებიც ინიციატივას იჩენენ თავიანთი მოსწავლეების დაბადების მოწმობათა გადაკეთების ყოვლად აღმაშფოთებელ საქმეში. რა პირადი მაგალითი უნდა მისცეს მოზარდს ასეთმა „პედაგოგმა“, რომელიც ასეთი მანიპულაციებით აკოწიწებს გუნდებს, საეჭვო გამარჯვებებით იწონებს თავს და გარდა ამისა, „დამსახურებისთვის“ ჯილდოებსაც ითხოვს?**

სამწუხაროდ, — ხაზგასმით ითქვა სხდომაზე, — ჩვენი ბევრი მასწავლებელი და მწვრთნელი მზად არ არის იმისათვის, რომ შემოქმედებითად, რუდუნებით იღვწოდეს და ალალი შრომით მოიმკას ნაყოფი. ჯერ კიდევ არიან ისეთი მწვრთნელები, რომლებიც თითო-ოროლა ტალანტის წყალობით ცდილობენ მოიხვეჭონ პატივი და დიდება, პირადი კეთილდღეობა.

სად ივარჯიშონ?

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, სასკოლო ფიზკულტურის პრობლემათა გადაჭრას კვლავ ძალზე აფერხებს ის, რომ სკოლებს არა აქვთ სრულყოფილი დარბაზები, და თუ აქვთ, ისიც ძალზე ცუდად აღჭურვილი.

ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ სპორტული ბაზები არ არის თბილისის 22-ე, 25-ე, 27-ე და 116-ე სკოლებში, რის გამო ფიზკულტურის გაკვეთილები არასრულფასოვნად ტარდება. 26 კომისრის სახელობის რაიონის 87-ე საშუალო სკოლაში სპორტული დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია და გაკვეთილები დერეფანში ან ეზოში ტარდება, სასწავლო-სპორტული ინვენტარი არა აქვთ 22-ე, მე-100, 140-ე და სხვა სკოლებში. 102-ე, 161-ე და №2 ექსპერიმენტულ სკოლებში ერთმანეთს ემთხვევა ფიზკულტურის გაკვეთილები. კლასგარეშე მუშაობა არ ტარდება მე-19, 22-ე, 35-ე, 116-ე, 155-ე, 166-ე სკოლებში; თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 102-ე სკოლაში მოსწავლეთა დღის რეჟიმიდან ყოვლად გაუმართლებლადაა ამოღებული დილის ვარჯიშები და „დიდი დასვენება“, სპორტული დარბაზი ბნელი და კეთილმოუწყობელია; მე-18 სკოლა შეკედლებულია მე-19 სკოლასთან და... ორივე სკოლაში მთლიანად ჩაშლილია კლასგარეშე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა.

ქაღალდის კუნთები და უწყლო აუზები

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მთელი სიმწვავით ითქვა, რომ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა მშთ ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვა-განვითარებას. კომპლექსის მოთხოვნათა შესაბამისად სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებების პროგრამის სავალდებულო გარდაქმნა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში კვლავ და კვლავ ვხვდებით სიყალბის, მიწერის, თვალის ახვევის ფაქტებს.

87-ე სკოლის დირექტორის **მ. ყირმელაშვილის** ბრძანებით სამკერდე ნიშნები მოსწავლეებს მიენიჭათ ნორმატივების ჩაბარების გარეშე (!); 102-ე სკოლაში, სადაც 1500-მდე მოსწავლე სწავლობს, ძალზე მცირეა მშთ ნიშნოსანთა რაოდენობა: მაგალითად, III საფეხურზე 401 მოსწავლიდან კომპლექსი ჩააბარა მხოლოდ 19-მა მოსწავლემ (4,7%), II საფეხურზე 737-დან 43-მა (5%); 124-ე სკოლაში (დირექტორი **ვ. ჯაფარიძე**) მშთ კომისია შექმნილია ფორმალურად. **ამ სკოლაში, საკონტროლო შემოწმებისას, 85 ნიშნოსნიდან ნორმატივი შეასრულა მხოლოდ 6-მა (!).** კლასის ხელმძღვანელებმა არ იციან რამდენი მშთ ნიშნოსანი ჰყავთ სკოლაში, როგორია მათი ფიზიკური მომზადება და ა. შ.

26 კომისრის სახელობის რაიონის 84-ე სკოლაში არ იციან კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმა-გრაფიკს, არ გააჩნიათ ნიშნოსანთა მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ძალზე მცირეა მშთ ნიშნოსანთა რაოდენობა პირველი მაისის რაიონის სკოლებში. მაგალითად, 115-ე სკოლაში 740 მოსწავლიდან ნორმატივებს ასრულებს მხოლოდ 21,5%, 35-ე სკოლაში კი 1256 მოსწავლიდან ნიშნოსანია მხოლოდ 13%; 155-ე სკოლაში IV-VIII კლასების მოსწავლეთაგან კომპლექსის მოთხოვნებს ასრულებს 12%, 35-ე სკოლაში კი ამ ასაკის მოსწავლეთაგან მხოლოდ 5% (!).

(დასასრული მე-2 გვ.).

„ვარსკვლავთა“ ტურნირი

ს. როსტიაშვილის წარმატება

ესპანეთის ქალაქ სარპუსში გაიმართა „მსოფლიო სამბოს ვარსკვლავთა“ მეორე ტურნირი. გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს საბჭოთა ფალავნებმა, რომლებმაც 8 ოქროს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თბილისელი ს. როსტიაშვილი (48 კგ), ნოვოჩებოქსარელი ვ. ბელოვი (52), ყაზანელი ძმები — ნ. მადიაროვი (62) და რ. მადიაროვი (68), კსტოვოელი ნ. ბარანოვი (74), ვლადიმირელი ა. რასკაზოვი (82), მოსკოველი მსოფლიო ჩემპიონი ვ. პაშკინი (90) და ანდიჟანელი ვ. სობოდირევი (+ 100).

57 და 100 კგ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ესპანელებმა — მ. გარსიამ და ს. მორალესმა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვენესუელის, იტალიის, აშშ-ს, შვეიცარიისა და გფრ-ის მოჭიდავეები.

სამშობლოს — ღირსეული დამცველი

აღვუზარდოთ სამშობლოს ღირსეული დამცველი — ეს ის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო.

და აი, ძველი თბილისის უბანში, რიყეზე სტარტი აიღო წვევამდელი ასაკის ახალგაზრდების პირველმა რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ. ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა კომბინირებული ესტაფეტა სამხედრო-გამოყენებით სახეობებსა და 200 მ-ზე ცურვაში.

კომბინირებულ ესტაფეტაში პირველობა არავის დაუთმო ქუთაისის გუნდმა, რომლის წარმომადგენლებმაც მთელი მარშრუტი საჯარიმო ქულის გარეშე გაიარეს, მაგრამ მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ შეჯიბრების მონაწილენი ცურვაში არ იყვნენ მომზადებულნი. ასპარეზობამ ცხადყო, რომ ცურვა ჯერ კიდევ არ ისწავლება სათანადოდ.

კარგი შედეგი აჩვენეს რუსთავის გუნდის წარმომადგენლებმა. მათ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს, მეორე იყო ქუთაისის, ხოლო მესამე — დუშეთის გუნდი.

აღნიშნულ სპარტაკიადაში მონაწილეობა არ მიუღიათ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოებს, რომელთაგანაც პასუხს ველით.

გ. გულბანი,

სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა სახელმწიფოებრივი საქმეა!

დასასრული

სხდომის მონაწილეებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მშთ კომპლექსის ჩაბარების საქმეში არსებულ სიყალბეებს ხელს უწყობს ერთი გარემოებაც: მოსწავლეების ფიზიკური მომზადება ძალზე დაბალია, რასაც თავის მხრივ განაპირობებს კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უგულებელყოფა. სხდომაზე მოიყვანეს მაგალითი: **მიმდინარე წლის 26 აპრილს პირველი მაისის რაიონის 13 საშუალო სკოლაში 13.925 მოსწავლიდან კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმული იყო მხოლოდ... 90 მოსწავლე, რაც საერთო რაოდენობის 5%-ია. 8 სკოლაში კი ამ მიმართებით არ ჩატარებულა არავითარი მუშაობა (?!).**

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა ის სავალალო ფაქტი, რომ დედაქალაქის სკოლებში უმოქმედოდაა სპორტული ბაზები, რომლებიც დოკუმენტაციის მიხედვით „მუშაობენ“. ასე მაგალითად, წყალი ვერა და ვერ დააყენეს თბილისის 162-ე საშუალო სკოლის აუზში, თუმცა ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე. 116-ე სკოლაში კალათბურთის სექციები მუშაობს დარბაზში, რომელსაც არ გააჩნია... კალათბურთის ფარები.

შემოწმებით დადგინდა, რომ თბილისის 8 სასკოლო აუზიდან მუშაობს მხოლოდ 2 (164-ე და 170-ე სკოლებში). 163-ე სკოლის საცურაო აუზი საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდანვე უმოქმედოა, იმის გამო, რომ ტექნიკურად გაუმართავია.

სხდომაზე მთელი სიმწვავით ითქვა, რომ ჩვენი სკოლების მესვეურებმა ჯერ კიდევ ვერ შეცვალეს დამოკიდებულება ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. დღევანდელობა კი გვკარნახობს, რომ სკოლაში უნდა აღიზარდონ არა მარტო ჯანმრთელი ახალგაზრდები და ფიზკულტურელები, არამედ ჩემპიონებიც. რაც უფრო მეტი ფიზკულტურელი იქნება სკოლაში, მით მეტი მაღალი კლასის სპორტსმენი გვეყოლება რესპუბლიკაში. თუ სკოლაში კარგად გვექნება საქმე, კარგი შესავალი გვექნება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე, რომლის შედეგები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ქულათა საერთო ჯამში შედის.

სკოლის გარეთ, მაგრამ სად?

თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ ადგილებში ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლას. მიუხედავად ერთგვარი გამოცოცხლებისა, ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

* * *

„უკვე სამი წელია ავჭალის გზატკეცილზე აშენდა ი. ბ. სტალინის სახ. ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის მშრომელთა 8-სართულიანი საცხოვრებელი ბინები: № 12ა-ს I, II და III კორპუსები. იმედით ელოდნენ ამ კორპუსებში მცხოვრები ბავშვები ბოლო IV კორპუსის აშენებას, რადგან გეგმით ამ კორპუსთან ერთად უნდა აეგოთ კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები. უკვე მწყობრში ჩადგა IV კორპუსი, სპორტული მოედნები კი არ ჩანს“. — ეს ადგილი „ლელოს“ რედაქციაში ახლახან მიღებული ერთ-ერთი წერილიდანაა. და ასეთ სტრიქონებს, სამწუხაროდ, იშვიათად როდი ვხვდებით სარედაქციო ფოსტაში. განსაკუთრებით საგანგაშო ხმები მოდის ნუცუბიძის პლატოს მკვიდრთაგან — ამ დიდ დასახლებაში ხომ ერთი კეთილმოწყობილი სპორტული მოედანიც არ არის!

* * *

...სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ თბილისის საცხოვრებელ მასივებში და მიკრორაიონებში არ გარდაქმნილა მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

თბილისი ერთადერთი ქალაქია მთელ საბჭოთა კავშირში, სადაც საცხოვრებელი სახლების პირველი სართულის სათავსოები არ ეთმობა ბავშვთა სპორტულ ოთახებს. ასევე ჭიანურდება სახლმმართველობასთან ფიზკულტურის ინსტრუქტორის შტატის გამოყოფის საკითხის გადაჭრა. საცხოვრებელი ფართობის შემოსავლის 2 და არასაცხოვრებელი ფართობის საიჯარო თანხის 5%-დან გათვალისწინებული თანხები იშვიათად თუ ხმარდება საცხოვრებელ ადგილებში მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

ჯგუფის სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებები მოზარდთა შორის ეწყობა მხოლოდ „ზევიდან“ ჩარევით და არ ტარდება ქმედითი ღონისძიებანი, რათა ფიზიკური კულტურა და სპორტი მოზარდთა ყოველდღიური მოთხოვნილების საგანი გახდეს. ამ საქმით ჯერ კიდევ ნაკლებად ინტერესდებიან პარტიის რაიონული კომიტეტები, რომელთა წარმომადგენლები იშვიათად მიდიან სკოლებში, რათა კონკრეტულ შემთხვევაში კომპეტენტურად გადაჭრან კონკრეტული ამოცანები.

11 ნაცვლად 30-სა

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოიყვანეს ასეთი ციფრი: თბილისის განათლების სამმართველოს გენეხაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ტანვარჯიშის სკოლაში ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა მოემზადებინათ 30 სპორტის ოსტატი, მომზადდა მხოლოდ 11 (!). ამ სკოლაში დებულების გათვალისწინებით 86 ჯგუფის ნაცვლად სინამდვილეში მუშაობს 51, ხოლო მწვრთნელებზე გაიცემა ხელფასი ის ოდენობა, რაც 86 ჯგუფის მუშაობის შემთხვევაში დაიხარჯებოდა.

ასეთი მძიმე სურათია იმ სპორტულ სკოლაში, რომელიც ტრადიციულად ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა რესპუბლიკაში. როგორი ვითარება იქნება სხვა „რიგით“ სპორტსკოლებში?

სხდომაზე ითქვა, რომ დედაქალაქის სპორტული სკოლების უმრავლესობის მუშაობა არ შეესაბამება თვით სპორტსკოლის დებულების მოთხოვნებს. სერიოზული დარღვევები გამოვლინდა თბილისის მძლეოსნობის ჯგუფების მუშაობაში. სპორტის ამ სახეობაში ბავშვთა ჯგუფები გახსნილია თბილისის ყველა რაიონში. სულ თბილისის რაიონების სპორტულ სკოლებთან ამჟამად მუშაობს 42 ჯგუფი, რომელსაც ემსახურება 25 მწვრთნელ-მასწავლებელი. 1982 წელთან შედარებით ჯგუფებისა და მწვრთნელების რიცხვი 1983 წელს საგრძნობლად შემცირდა. შტატიანი მწვრთნელების რაოდენობა, ნაცვლად იმისა, რომ გაზრდილიყო, შემცირდა. შარშან შტატში მუშაობდა 10 მწვრთნელი, ამჟამად მუშაობს 6. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჯგუფები შემცირდა შტატიანი მწვრთნელების ხარჯზე, რაც არ არის სასურველი. შესაბამისად იმატა შეთავსებით მომუშავეთა რიცხვმა. თუ შარშან 52 მწვრთნელიდან 17 მუშაობდა შეთავსებით, ამჟამად 42-დან შეთავსებით მუშაობს 19. მაგალითად, ოქტომბრის, კიროვის, პირველი მაისის, საქარხნო და ორჯონიკიძის რაიონებში ყველა მწვრთნელი შეთავსებით მუშაობს. შეუსაბამობაა რაიონების მიხედვით ჯგუფების დისლოკაციაში. ისეთ მოზრდილ რაიონებში, როგორიცაა ლენინის, საქარხნო და პირველი მაისის რაიონები, გახსნილია 2-3 ჯგუფი, შედარებით მცირერიცხოვან რაიონებში კი, სადაც არც სპორტსმენთა მომზადების პირობებია უკეთესი, 6–9 ჯგუფი მუშაობს (კალინინის რაიონი — 9, კიროვის — 7 და ა. შ.).

უხეშად ირღვევა ჯგუფებში ბავშვთა შერჩევის პრინციპი, ჯგუფების დაკომპლექტებისას კი სპორტული სკოლების დებულების მოთხოვნები, რაც გამორიცხავს სისტემატურობას და თანმიმდევრობას სპორტსმენთა მომზადებაში. უგულებელყოფილია ბრიგადული მუშაობის პროგრესული მეთოდი, ხშირად იცვლება მეცადინეობის ცხრილი, დებულების გვერდის ავლით თვითნებური პრინციპითაა შედგენილი ჯგუფების მეცადინეობის ჟურნალი. ჯგუფის ცენზი არ შეესაბამება მომეცადინეთა სპორტული მომზადების მოთხოვნებს. მაგალითად, თბილისის რაიონების სპორტულ სკოლებში 1982 წელს არ მომზადებულა არც ერთი პირველთანრიგოსანი სპორტსმენი. 1983 წლის პირველ კვარტალში თბილისის მძლეოსნობის ყველა ჯგუფში ირიცხება მხოლოდ 210 ჭაბუკთა თანრიგოსანი, 32 მესამე თანრიგოსანი და არც ერთ სპორტსმენს არ აქვს შესრულებული თუნდაც II და I სპორტული თანრიგის ნორმატივი. ეს მაშინ, როცა ქალაქში 1982 წელს იყო 14 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი. მძლეოსნობის განვითარებისადმი ზერელე დამოკიდებულება და უკონტროლობა იგრძნობა კადრების შერჩევაშიც. სისტემატურად არ ტარდება სემინარები და მეთოდური მეცადინეობები, ხოლო თბილისის სპორტკომიტეტისა და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ერთობლივ 6-დღიან სემინარზე, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები მძლეოსნობის მწვრთნელებისათვის ატარებდნენ, თბილისის ბავშვთა სპორტული სკოლებიდან გამოცხადდა მხოლოდ ერთი (?!) მწვრთნელი.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა სპორტულ სკოლებში მუშაობენ რესპუბლიკის საუკეთესო სპეციალისტები, არც ერთ მათგანს არა აქვს მძლეოსნობაში მწვრთნელის კატეგორია.

9 მწვრთნელს საერთოდ არ მიუღია უმაღლესი ფიზკულტურული განათლება. ბევრს აქვს 1,5 საშტატო განაკვეთზე მეტი დატვირთვა.

მწვრთნელთა სამუშაო ადგილის გამოცვლას მეტწილად თან სდევს მომეცადინეთა გადასვლა ჯგუფიდან ჯგუფში ან განთესვა. ეს არღვევს სპორტული მუშაობისა და სპორტსმენთა დაოსტატების ერთიან ციკლს; არ ხერხდება დიფერენცირების პრინციპის დაცვა და ა. შ. ამგვარი მოვლენა მხოლოდ მძლეოსნობის სპორტული სკოლისათვის როდია დამახასიათებელი.

სპორტული სკოლებისთვის საერთო პრობლემაა კადრების დაბალი კვალიფიკაცია. მწვრთნელთა მოუმზადებლობის გამო ხშირად გამოუყენებელი რჩება თანამედროვე დამხმარე აპარატები და დანადგარები, ზოგჯერ კი უნიკალური ინვენტარი უმალ გამოდის მწყობრიდან. მწვრთნელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცუდად ერკვევა, ან საერთოდ წარმოდგენა არა აქვს წვრთნის თანამედროვე მეთოდებზე, არ იცნობს თავის სახეობებში მიმდინარე გარდაქმნებს. ქალაქის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 25 მწვრთნელიდან I კატეგორია აქვს მხოლოდ ორს, II კატეგორია — თერთმეტს. საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლის მწვრთნელთაგან არც ერთს არ გაუვლია კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ამ სკოლაში (დირექტორი ი. ქართველიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე რ. ცომაია) მთლიანად ჩაშლილია მუშაობა. მწვრთნელთა კვალიფიკაცია იმდენად დაბალია, რომ ისინი თავიანთი ჯგუფის სამუშაო გეგმასაც კი ვერ ადგენენ. კადრების დაბალი კვალიფიკაციის გამო ველოსპორტისა და ჭადრაკის სპორტული სკოლების მუშაობა ნაკლებეფექტიანია. უმეტესად სპორტულ სკოლებში მეცადინეობები ტარდება ერთფეროვნად, მოძველებული მეთოდით, რაც ხშირად მოსწავლეთა განთესვის ერთ-ერთი მიზეზია. არასწორად იგეგმება სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ხოლო ჯგუფებში მომეცადინეთა შერჩევა მოკლებულია მეცნიერულ რეკომენდაციებს და სტიქიურ ხასიათს ატარებს. ადგილებზე ან საერთოდ არ არის, ან ფორმალურად შექმნილი მეთოდური კაბინეტები. ხშირია მწვრთნელთა კადრების დენადობა. განათლების ორგანოები და სპორტული სკოლების მესვეურები უფრო ლოგიკურად მიიჩნევენ არა მუშაობის გარდაქმნას, არამედ ინერტულობის გამართლების მიზეზების ძიებას. ამ ნაკლოვანებათა გამო უკუგების გარეშე იხარჯება შრომითი და მატერიალური რესურსები.

არადამაკმაყოფილებელია სპორტსმენთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე, ცურვის, ფეხბურთის („ავაზა“) და ველოსპორტის სპორტულ სკოლებში. ქალაქის განათლების ორგანოების მხრივ არასისტემატურია შემოწმება და დახმარება, ხოლო ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება, როგორც წესი, არ მოწმდება. ქალაქისა და რაიონის სპორტულ სკოლებში დაბალ დონეზეა მოსწავლე-სპორტსმენთა სამედიცინო შემოწმება. ბევრგან საქმეში გვხვდება მხოლოდ უბნის ექიმის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. სერიოზული ხარვეზები შეიმჩნევა ნორჩ სპორტსმენებთან სამედიცინო-პროფილაქტიკურ მუშაობაში...

მეტი პირადი დაინტერესება, მეტი კომპეტენტურობა

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მდგომარეობა ძალზე მძიმეა და ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც გვიყენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილება.

სხდომაზე მთელი კატეგორიულობით, მკაცრად ითქვა, რომ არსებული ვითარება მოითხოვს სასწრაფო ქმედით ღონისძიებათა დაუყოვნებლივ გატარებას.

ამ საქმეში არ არსებობს დიდი და პატარა საკითხები. იგი უნდა გადაწყდეს კომპლექსურად და მის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო სპეციალისტებმა, არამედ ფართო საზოგადოებრიობამ, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მომავალი თაობის კეთილდღეობა. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში პარტიის რაიკომებმა ღრმად უნდა შეისწავლონ ეს პრობლემები, რათა რაიკომის ბიუროს სხდომებზე ოპერატიულად განიხილონ ეს საკითხები; ასევე ღრმად უნდა შეისწავლონ და არსებულ პრობლემათა შესახებ კოლეგიის სხდომაზე იმსჯელონ საქართველოს განათლების სამინისტროში, თავიანთი კომპეტენტური სიტყვა უნდა თქვან საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს სპორტკომიტეტმა.

სხდომაზე ხაზგასმით, დაბეჯითებით ითქვა, რომ ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი მომავალი თაობის აღზრდა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმეა, ამიტომ არის საჭირო მისი გადაწყვეტისას ჩვენი ძალების მაქსიმალურად ამოქმედება.

აუზი საირმის ქუჩაზე... აუზი მქვია, თორემ წყალი აქ რა ხანია არავის უნახავს! 11 წელიწადია გრძელდება რემონტი და ბოლო არ უჩანს. ამ ხნის მანძილზე კი ვინ იცის რამდენი ბავშვი და მოზარდი ისწავლიდა ცურვას, გაიკაჟებდა ჯანმრთელობას, დაუმეგობრდებოდა სპორტს.

სურათებზე, რომელიც „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა გუშინ გადაიღო, კარგად ჩანს, რომ ეს აუზი ამ ზაფხულსაც ვერ შეასრულებს თავის მისიას.

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები ლენინგრადში შეხვდნენ „ზენიტს". თამაში დამთავრდა ანგარიშით 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

სხვა მატჩები:

„დინამო" მნ. — „ჟალგირისი" — 1:0.

„შახტიორი" — ცსკა — 0:1.

„დნეპრი" — „ტორპედო" მ. — 2:1

„დინამო" მ. — „არარატი" — 2:1

ქუთაისის ტორპედოელები ხვალ მოსკოვში ითამაშებიან „სპარტაკს". მატჩის მეორე ტაიმის რადიოგადაცემა იწარმოებს 21 საათიდან თბილისის დროით.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-11 ტურის ტექნიკური მონაცემები:

„სპარტაკი" — „არარატი" 3:1 (1:0). მე-40 წუთზე ერევნელმა კირაკოსიანმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. შემდეგ სპარტაკელმა გავრილოვმა 11-მეტრიანით ანგარიში აიყვანა 2:0-მდე. 76-ე წუთზე აშ. ხაჩატრიანმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ კუზნეცოვმა მესამედ აიძულა ერევნელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

დუბლიორები — 1:1.

„შახტიორი" — „ტორპედო" მ. 1:0. (1:0). ერთადერთი ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა სოკოლოვსკიმ.

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი" — ცსკა 1:2 (0:2). არმიელებმა პლოტნიკოვმა და ტარხანოვმა პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. ერთი საპასუხო ბურთი არმიელთა კარში ტარანმა მოათავსა 82-ე წუთზე.

გააფრთხილეს ცსკა-ს ფეხბურთელი კოლიადკო.

დუბლიორები — 1:1.

„ზენიტი" — „ნეფთჩი" 2:1 0:0. ანგარიში ლენინგრადელმა კაზაჩონოკმა გახსნა 11-მეტრიანით. შემდეგ პენალტი დაინიშნა ზენიტელთა კარში და პონომარიოვმა აღადგინა თანაფარდობა. 73-ე წუთზე კლიმენტიევმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ბაქოელთა კარში.

გააფრთხილეს „ნეფთჩის" მოთამაშე ვახაბ-ზადე.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, უ. ფურცელაძე, გ. სეფიაშვილი (ყველანი — თბილისი).

დუბლიორები — 1:0.

„ნისტრუ" — „დინამო" კ. 0:1 (0:0). ბურთი 58-ე წუთზე გაიტანა ევტუშენკომ.

გააფრთხილეს კიეველი ლოზინსკი.

დუბლიორები — 0:1.

„ჩერნომორეცი" — „მეტალისტი" 2:1 (2:1). ოდესელთაგან ბურთები გაიტანეს პოკონინმა და ფინკმა. ერთი ბურთი 11-მეტრიანით გაქვითა საიკოვმა.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო, გ. გაბისკირია (ორივე — სოხუმი), თ. ლაცაბიძე (თბილისი).

• • •

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას „ჩერნომორეცის" თავდამსხმელი ვ. ფინკი — 7 ბურთი. ერევნელმა ხ. ოჰანესიანმა და ვილნიუსელმა ს. იაკუბაუსკასმა გაიტანეს 6-6 ბურთი.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე

მექსიკაში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. უკვე პირველ ტურში აღინიშნა ერთობ მოულოდნელი შედეგები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ჭაბუკ ფეხბურთელთა ძალა საგრძნობლად განსხვავდება მოზრდილთა გუნდებისაგან. ასე, მაგალითად, მექსიკელებმა ჩემპიონატის გახსნის დღეს „ატცეკას" სტადიონზე ვერაფერი გააწყვეს ავსტრალიის გუნდთან და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ (1:1). შემდეგ კი მათ ასევე სრულიად მოულოდნელად, მარცხი განიცადეს სამხრეთ კორეის ნაკრებთან შეხვედრაში — 1:2. ავსტრალიელებმა მეორე სიურპრიზი შემოგვთავაზეს, როცა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი — შოტლანდიის ნაკრები.

სასტარტო მატჩი წააგეს საბჭოთა ფეხბურთელებმაც (ნიგერიის გუნდთან — 0:1), მაგრამ როგორც მექსიკიდან იტყობინებიან, გასაკვირი ამ მარცხში არაფერი იყო: ჩვენმა გუნდმა ითამაშა ძალზე სუსტად, ყოველგვარი ენთუზიაზმისა და მონდომების გარეშე, ამასთან ვერ შეძლო რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. შესანიშნავად ითამაშა ნიგერიელთა მეკარემ უდომ. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ოკორონვანტამ.

მოგვყავს პირველი ტურის შეხვედრათა შედეგები:

„ა" ჯგუფი. მექსიკა — ავსტრალია 1:1, შოტლანდია — სამხრეთ კორეა 2:0.

„ბ" ჯგუფი. პოლონეთი — სპილოს ძვლის ნაპირი 7:2, ურუგვაი — აშშ 3:2.

„გ" ჯგუფი. არგენტინა — ჩინეთი 5:0, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია 4:0.

„დ" ჯგუფი. სსრ კავშირი — ნიგერია 0:1, ჰოლანდია — ბრაზილია 1:1.

* * *

დაიწყო II ტურის მატჩები, სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე ჰოლანდიის გუნდი იყო. საბჭოთა ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს და დაკარგეს ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი შესაძლებლობა.

სსრ კავშირი — ჰოლანდიის მატჩი გაიმართა მონტერეიში, მას დაესწრო 20 ათასი მაყურებელი. სწრაფი, ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში გახსნეს ჰოლანდიელებმა, ბურთი მცველმა დუუტმა გაიტანა მე-12 წუთზე. შესვენებამდე 3 წუთით ადრე სალიმოვმა გაქვითა გოლი — 1:1.

მეორე ტაიმი დაიწყო საბჭოთა ფეხბურთელთა იერიშებით. მალე პროტასოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ დარჩენილ დროში უპირატესობას მთლიანად ჰოლანდიელები დაეუფლნენ. თავდამსხმელმა ბუენმა, ზედიზედ ორჯერ გაიტანა ბურთი საბჭოთა ნაკრების კარში, ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა ჰოლანდიის გუნდმა.

ამავე ჯგუფის სხვა მატჩი ბრაზილიისა და ნიგერიის გუნდებს შორის გაიმართა ქალაქ გვადალახარაში. ბრაზილიელებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს მეტოქე — 3:0.

მეხიკოში ითამაშეს ურუგვაისა და პოლონეთის გუნდებმა. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 3:1.

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა მე-11 ტურის შეხვედრები: „შირაკი" (ლენინაკანი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 2:1, „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „დილა" (გორი) 1:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 1:1.

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 8 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხოზ."	10	7	2	1	19— 9	16
„კოტაიკი"	10	4	5	1	16— 9	13
„მერცხალი"	10	6	0	4	12— 9	12
„ლოკომოტ."	9	5	2	2	13— 5	12
„დინამო" ბ.	9	5	2	2	11— 5	12
„კოლხეთი"	10	4	4	2	17—10	12
„სპარტაკი"	10	5	1	4	14—10	11
„დილა"	10	4	3	3	15—11	11
„შირაკი"	10	4	2	4	13—12	10
„დინამო" ს.	10	4	2	4	10—11	10
„მეშახტე"	10	3	3	4	12—13	9
„ხაზარი"	9	3	3	3	8—10	9
„ყარაბახი"	9	3	1	5	9—13	7
„ქიაფაზი"	10	2	3	5	8—18	7
„ავტომობ."	9	1	3	5	4—15	5
„არაზი"	8	1	2	5	5—11	4
„ოლიმპია"	11	1	2	8	7—21	4

„ლოკომოტივის" გამარჯვება

დამთავრდა საქართველოს პირველობა უმცროსი ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის (1966-67 წლებში დაბადებულნი).

გათამაშებამ 8 თვეზე მეტ ხანს გასტანა. მასში მონაწილეობდნენ ოლიმპიური რეზერვების, სპეციალიზებული სპორტსკოლების, ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების, საუწყებათაშორისო სპორტსკოლების გუნდები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად.

როგორც ვიუწყებოდით, პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს თბილისის „ლოკომოტივმა" და ბათუმის „ჭოროხმა". ლოკომოტიველებმა კარგად ჩაატარეს ორივე მატჩი, სტუმრად გაიმარჯვეს 2:0, შინ — 4:1 და პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა, რაც გუნდის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს (მწვრთნელი ვ. კოპალიანი, სპორტსკოლის დირექტორი მ. რაზმაძე).

უდავოდ, წარმატებაა ბათუმის განათლების განყოფილების სპორტსკოლის მეორე ადგილიც (მწვრთნელები ზ. პატარაია, ი. ესებუა, სკოლის დირექტორი გ. ქიქავა).

მესამე ადგილს ერთმანეთს ეციილებოდნენ თბილისის „სპორტინტერნატი" და ზუგდიდის „დინამო". ზუგდიდელებმა ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით მოიგეს — 2:1 და პრიზიორები გახდნენ (მწვრთნელი გ. კობახიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად, საინტერესოდ, დამაკმაყოფილებელი იყო მსაჯობაც.

შემოდგომაზე დაიწყება ნორჩ ფეხბურთელთა შემდგომი რესპუბლიკური ჩემპიონატი. სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ახლავე უნდა შეუდგნენ მზადებას ამ საინტერესო ღონისძიებისთვის.

ი. გოშორაძე,

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი.

• • •

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივის" კოლექტივი, რომელმაც უმცროსი ასაკის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

ავედანჟის გეგმები

საერთაშორისო პრესის სააგენტოებმა და სპორტულმა გაზეთებმა ამას წინათ მსხვილი სათაურებით გამოაქვეყნეს სენსაციური ცნობა იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს საფუძველი ჩაუყაროს მსოფლიო ჩემპიონატებს დახურულ დარბაზში. ამ ცნობას თავდაპირველად, მართლაც სენსაციის ხასიათი ჰქონდა, შემდგომში კი გამოირკვა, რომ სავსებით სერიოზული ლაპარაკი არის დახურულ დარბაზში მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობაზე. კერძოდ, პარიზში საგანგებოდ ჩავიდა ფიფა-ს პრეზიდენტი ჟ. აველანჟი, რამდენჯერმე შეხვდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ფერნანდ სასტრს და ესაუბრა მას.

ვიზიტი კონკრეტული ხასიათისა იყო, ლაპარაკი მიმდინარეობდა არა შორეულ მომავალზე, არამედ იმაზე, რომ სულ მალე, 1985 წელს საფრანგეთში გაიმართოს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი დახურულ დარბაზში.

კრიტიკოსები მაშინვე გამოჩნდნენ. ბევრი უცხოელი ფეხბურთის სპეციალისტი, მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფეხბურთი ესაა ღია ცის ქვეშ თამაში, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრება არ იმართება დახურულ დარბაზში და თვით დარბაზის ფეხბურთი, თავისი მრავალი ასპექტით, შორს დგას ნამდვილი, საყოველთაოდ მიღებული, დაკანონებული თანამედროვე ფეხბურთისაგან.

ჟ. აველანჟმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ დახურულ დარბაზში ფეხბურთის თამაშს ახლაც საკმაოდ მყარად აქვს მოდგმული ფეხი სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სსრ კავშირში, ავსტრიაში და სხვა. დახურულ დარბაზში თამაშსა და „ღია ფეხბურთს" შორის მართლაც არის მნიშვნელოვანი განსხვავება, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ახალი დიდი საფეხბურთო შეჯიბრების დაწესებას. ეს კიდევ უფრო პოპულარულს გახდის სპორტის ამ სახეობას, გამოჩნდებიან ახალი ფეხბურთელები, ახალი გუნდები, რომლებიც კარგად თამაშობენ დახურულ დარბაზში და ეს შეჯიბრებაც სწორედ მათთვის იქნება განკუთვნილი. ფეხბურთის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით დახურულ დარბაზში თამაშმა მთელს მსოფლიოში უნდა მოიკიდოს ფეხი.

დახურულ დარბაზში ფეხბურთის თამაშს, როგორც აღინიშნა, მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს და სწორედ მათს საყურადღებოდ განაცხადა ჟ. აველანჟმა, რომ ის გამოჩენილი ოსტატები, რომლებიც ღია მინდორზე თამაშობენ, სრულიადაც არ არიან ვალდებული გადაინაცვლონ დარბაზში. განზრახულია დაწესდეს ახალი მსოფლიო ჩემპიონატი, მას ეყოლება ახალი მაყურებელი და ახალი შემსრულებელიც.

ასე რომ, ველოდოთ 1985 წელს...

ბრაზილიელს შეცვლის ბრაზილიელი

იმასთან დაკავშირებით, რომ განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი ფალკაო ტოვებს იტალიის „რომას", მწვრთნელმა ნ. ლიედჰოლმმა მას უკვე მოუნახა შემცვლელი. ეს გახლავთ ასევე ბრაზილიელი ბატისტა, იმ ნაკრების შემადგენლობიდან, რომელიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა. ბატისტა ბოლო სეზონში „კატანძაროში" თამაშობდა.

მსოფლიო ფეხბურთის ამბები

მიიწვიეს გერეტსი

განთქმულმა „მილანმა", რომელიც ერთწლიანი იძულებითი „შესვენების" შემდეგ დაუბრუნდა იტალიის პირველ ლიგას, მიიწვია ლიეჟის „სტანდარდისა" და ბელგიის ნაკრების ცნობილი მცველი ე. გერეტსი.

მილიანიჩი — „ალიკანტეს" მწვრთნელი

ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი მ. მილიანიჩი, რომლის მოღვაწეობა ესპანეთის პირველი ლიგის ცნობილ საფეხბურთო კლუბ „ვალენსიაში" წარუმატებლად დამთავრდა, კვლავ ამ ქვეყანაში დარჩა. მან კონტრაქტი დადო მეორე ლიგის „ალიკანტესთან".

„დირსეუ და ჯულიეტა"

ბრაზილიელი ფეხბურთელი დირსეუ იტალიის კლუბ „ვერონაში" თამაშობს. რომეოსა და ჯულიეტას ამ ცნობილ ქალაქში დირსეუ მეტად პოპულარულია და მას სადაც კი გამოჩნდება, ახალგაზრდები გასაქანს არ აძლევენ.

ამას წინათ ვერონის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა მოსწავლეს ასეთი კითხვა დაუსვა: „ჩამოთვალეთ შექსპირის ნაწარმოებები". მოსწავლემ უყოყმანოდ დაასახელა... „დირსეუ და ჯულიეტა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრები ჩინელ მოჭადრაკეებთან

ორიოდე დღის წინ რედაქციაში გვეწვია საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი, რომელმაც მოსკოველ დიდოსტატ ი. ბალაშოვთან ერთად მაისის სამი კვირა დაჰყო ჩინეთში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით. დიდოსტატმა ქალმა გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები და გვიჩვენა რამდენიმე გათამაშებული პარტია.

გთავაზობთ ნინო გურიელის ნაამბობს.

— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიყავით სპორტკომიტეტის მიწვევით. უნდა შევხვედროდით უძლიერეს ჩინელ მოჭადრაკეებს და მათთვის გაგვეზიარებინა ჩვენი გამოცდილება. მასპინძლები რომ ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ეს მოსკოვშივე ვიგრძენი, როცა აეროპორტში ჩვენს გასაცილებლად სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი მოვიდა.

4 მაისს პეკინში ჩავედით. აეროპორტში დაგვხვდნენ შეხვედრის ორგანიზატორები, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. იმავე დღეს მიგვიღო ჩინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ივანე შჩერბაკოვმა. იგი გულთბილად გვესაუბრა და გამოსვლების პროგრამაც გაგვაცნო.

მეორე დღეს, დილით, ჩავფრინდით ხანჩჟოუში, სადაც ოთხი დღე დავრჩით. ლამაზი, მწვანე ქალაქი ძალიან მაგონებდა ბორჯომს, თუმცა იგი უფრო დიდია. ხანჩჟოუში დაგვხვდნენ დიდოსტატი ლიუ შილანი და ჩინეთის კიდევ ექვსი უძლიერესი მოჭადრაკე, რომლებსაც სხვადასხვა ქალაქში უნდა შევხვედროდით. ისინი ბოლომდე აღარ მოგვცილებიან.

პირველი ამხანაგური შეხვედრები გავმართეთ სპორტის სასახლეში, სადაც მოზრდილი დარბაზი დაგვითმეს. მე მოვუგე უ მანციანს, მეორე დღეს კი — ხუან სინცზს. ორივე პარტია ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა. ბალაშოვმა 1,5 ქულა აიღო.

გავეცანით ხანჩჟოუს ღირსშესანიშნაობებს. ერთ საღამოს კონცერტს დავესწარი. და აი, დარბაზში გაისმა... ჭრიჭინას სიმღერა ქართულ კინოფილმ „ჭრიჭინადან". რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა მშობლიური ჰანგების მოსმენა: ახალგაზრდა მომღერალი სამახსოვრო სუვენირით დავასაჩუქრე. საერთოდ, ჩინეთში ყოველ ნაბიჯზე დიდ გულისხმიერებასა და ყურადღებას ვგრძნობდით.

ხანჩჟოუდან შანხაიში მატარებლით ვიმგზავრეთ. ამ ვეება თხუთმეტმილიონიან ქალაქში 19 მაისამდე დავრჩით. საქმე ისაა, რომ მე და ბალაშოვს მოგვეწონა მრავალფეროვანი, ჩვეულებრივად ცხარე საკმაზიანი ჩინური კერძები, მაგრამ მოსკოველ დიდოსტატს, როგორც ჩანს, ცხარემ აწყინა და უქეიფოდ შეიქნა. ამიტომ კიდევ ხუთ დღეს დავრჩით შანხაიში, მაშინ, როცა ეს დღეები ნანკინში უნდა გაგვეტარებინა.

შანხაიში უ სიაოჟანსა და პენ ჩჟაოციენს შევხვდი. პირველს მწვავე ბრძოლაში მოვუგე, მეორესთან კი პარტია უმძაფრეს ჭიდილში ყაიმით დავამთავრე. ბალაშოვი ორივე შეხვედრაში ყაიმს დასჯერდა.

თავისუფალ დღეებში ორი ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) ჩავატარე ჩინელ ოსტატებთან. თითოეულში ხუთი ქალი მონაწილეობდა. სეანსები გავმართე სასტუმროს ნომერში, რომელიც საკმაოდ მოზრდილი იყო. ერთ სეანსში გავიმარჯვე ანგარიშით 4,5:0,5, მეორეში — 4:1. საინტერესოა, რომ ხუან სინცზს სეანსში უფრო სწრაფად და დამაჯერებლად მოვუგე, ვიდრე პირად შეხვედრაში.

პეკინში 19 მაისს დავბრუნდით. უამრავი გულშემატკივარი დაესწრო ჩვენს თამაშს სპორტკომიტეტის დიდ დარბაზში. მე ჩინეთის პირველ დიდოსტატ ლიუ შილანს შევხვდი.

ლიუ მოკრძალებული, სათნოდ მომღიმარი გოგონაა. იგი ძალიან უყვართ ჩინეთში. მითხრეს, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალმა დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენია პრესაში თბილისელები, გულთბილი მასპინძლები იმ ქალთა საერთაშორისო ტურნირისა, სადაც მან პრეტენდენტის საგზური და დიდოსტატის ტიტული მოიპოვა. ისიც მითხრეს: ჩინეთში ამხანაგური შეხვედრებისთვის ქართველი დიდოსტატის ჩამოსვლა, ყველაზე მეტად ლიუს გაეხარდაო.

აი, ჩვენი პირველი პარტია, რომელიც 20 მაისს შედგა.



გურიელი — ლიუ შილანი

პეკინი, 20 მაისი, 1983 წ.

ბენონის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 c5 4. d5 e×d5 5. c×d5 d6 6. მc3 g6 7. e4 კg7 8. კb5+ კd7 9. a4 0—0 10. 0—0 კg4 11. h3 კ×f3 12. ლ×f3 მa6 13. კg5 h6 14. კh4 მb4 15. ეac1 a6 16. კc4 ლe7 17. ლe2 ეae8 18. ეce1 ლc7 19. კg3 მh5 20. კh2 კd4 21. მფh1 f5.



22. e5! ლg7 23. f4 ლd7 24. g4 მg7 25. ლg2 მფh7 26. g×f5 g×f5 27. კg1 ეg8 28. ლf3 მc2 29. ეc1 კ×g1 30. ე×c2 კd4 31. e6 ლe7 32. ეg2 ლh4 33. კd3 ეef8 34. ლg4 ლf6 35. e7 ეe8 36. ეe1 c4 37. კc2 ლf7 38. ლe2 კ×c3 39. b×c3 ლ×d5 40. ეeg1 ლf7 41. ლg4 ე×e7 42. კ×f5+ ლ×f5 43. ლ×f5+ მ×f5 44. ე×g8 ეf7 45. ეc8 b5 46. a×b5 a×b5 47. ეb8 d5 48. ეa1 d4 49. c×d4 c3 50. ეc8 b4 51. ეb1 მ×d4 52. ე×d4 მe2 53. ეbc4 ეg7 54. ე8c7 ე×c7 55. ე×c7+ მფg6 56. ეc5 მფf6 57. მფh2 მფg6 58. f5+ მფf6 59. მფg2 მფg5 60. მფf2 მd4 61. მფe3 მc2+ 62. მფe4. შავები დანებდნენ.

21 მაისს მე და ლიუ ისევ მივუსხედით დაფას. ეს პარტიაც საინტერესოდ წარიმართა და ყაიმით დასრულდა. მეორე დღესაც ყაიმით დავამთავრე შეხვედრა ჩინეთის მეორე მოჭადრაკე ქალთან, საერთაშორისო ოსტატ ან იანფენთან. ბალაშოვი სამივე პარტიაში დაზავდა.

ჩვენ თითო ერთდროული თამაშის სეანსიც (საათებით) გავმართეთ ხუთ დაფაზე. ჩემი შედეგია 4,5:0,5, ბალაშოვისა — 2,5:2,5, საინტერესოა, რომ ბალაშოვის წინააღმდეგ სამი ოსტატი ქალი თამაშობდა და მან ვერც ერთს ვერ მოუგო.

ბოლო დღეს ლიუ შილანის თხოვნით პატარა ბლიცმატჩი გავითამაშეთ. 6:1 — ასე მოვიგე იგი.

27 მაისს სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიღება მოაწყო ჩვენი გამოსვლების დამთავრებასთან დაკავშირებით. აქ მოვიდნენ ჩინეთის სპორტის მესვეურნი, ლიუ შილანი და სხვანი.

ძალიან კმაყოფილი ვარ ჩინეთში მოგზაურობით. ვფიქრობ, რომ ამ დიდ ქვეყანაში სულ უფრო იზრდება საჭადრაკო მოძრაობა, რადგან ახალგაზრდები მეტად დაინტერესებულნი არიან ჭადრაკით. ალბათ უახლოეს მომავალში ჩინელი მოჭადრაკეები უფრო თამამად და მეტი წარმატებით გამოვლენ დიდ სარბიელზე.

საუბარი ჩაიწერა
თ. გიორგაძემ.

• • •

სურათზე: ნ. გურიელისა (მარცხნივ) და ხუან სინცზის (ჩინეთი) შეხვედრა ხანჩჟოუში.

ი. პ. შუდრა

გარდაიცვალა ივანე პეტრეს ძე შუდრა, ღვაწლმოსილი სპორტის მუშაკი, რესპუბლიკის ვეტერან ფეხბურთელთა, ნორჩებთან მომუშავე მწვრთნელთა რიგებს გამოაკლდა დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, რომელიც ათეული წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურა ქართული ფეხბურთის წინსვლას და აღმავლობას.

ი. შუდრა 1921 წელს დაიბადა თბილისში, პირველდაწყებითი განათლება მიიღო მე-9 საშუალო სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო ავტოსაგზაო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

პირველი საფეხბურთო ნათლობა ვანო შუდრამ ბავშვობაში მიიღო. მისი უფროსი ძმები — სერგო და ვახტანგ შუდრები იმთავითვე სპორტსმენები იყვნენ და უმცროსი ძმაც მათ კვალს გაჰყვა. ი. შუდრა 1935 წელს თამაშობდა „სტადიონის მეგობართა" გუნდში, რომლის ბაზაზე 1936 წელს შეიქმნა სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლა. ამ სკოლის საუკეთესო გუნდმა „მოლოტმა" 1938 წელს მოიპოვა სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა შორის.

ფეხბურთის სიყვარული ვანო შუდრას ბოლომდე გაჰყვა. 1940 წელს იგი მიიღეს თბილისის „ლოკომოტივში", რომელიც იმხანად უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. 1941 წელს გადავიდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში. იმავე წელს გაიწვიეს ჯარში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, 1946 წელს დაუბრუნდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს, 1949-51 წლებში თამაშობდა თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივში, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპორტის მოყვარულთა შორის.

1955 წლიდან ვანო შუდრა მწვრთნელ-მასწავლებლად მუშაობდა თბილისის ცნობილ 35-ე სკოლაში, სადაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. კეთილსინდისიერი, პატიოსანი შრომით ნორჩ ფეხბურთელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. 27 წელი ემსახურა ვანო შუდრა ქართული ფეხბურთისთვის ღირსეული რეზერვების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, მისი ხელმძღვანელობით გაიკვლიეს დიდ ფეხბურთში გზა ნიჭიერმა ფეხბურთელებმა. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის, რომ ვანო შუდრამ აღზარდა ცნობილი ოსტატები გოჩა ხართიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე, ლევან მელიქია და მრავალი სხვა.

ი. შუდრა დაჯილდოებული იყო მთავრობის მედლებით. ღირსეული მოქალაქის, გულისხმიერი პედაგოგის, კეთილი ამხანაგისა და დამსახურებული ადამიანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლებსა და მეგობრებს შორის.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო
თბილისის განათლების სამმართველოს ფეხბურთის სკოლა
ვეტერანი ფეხბურთელები.

პანორამა

● რეგბი

ხარკოვის ოლქის ქალაქ კრასნოგრადში რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს ცენტრალური შეხვედრა იყო ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის მოსკოვის „სლავასა" და სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს სამხედროებმა 19:6. სატურნირო ცხრილში II ადგილზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" იოლად სძლია კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს — 23:10. ლენინგრადის „პრიმორეცმა" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 12:9. კიევის „ავიატორმა" სძლია ლვოვის „სოკოლს" 27:7.

ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატისა და თბილისის „ლოკომოტივის" შეხვედრაში გამარჯვება ქუთაისელებმა მოიპოვეს — 6:3. კაუნასის „სტაკლესისა" და „ფილის" შორის მატჩი მოიგეს ამ უკანასკნელებმა — 7:6.

მესამე დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ავიატორი" — „სლავა" 15:3, „ფილი" — სამხედრო-საჰაერო აკადემია 15:3, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სოკოლი" 22:3, „პრიმორეცი" — „ლოკომოტივი" (თბილისი) 13:9, „სტაკლესი" — „სახლმშენი" (ქუთაისი) 15:9, კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „ექსკავატორტიაჟსტროი" 4:3.

გუშინ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისის რეგბისტებმა, რომლებმაც დაამარცხეს ლიდერი — სსა-ს გუნდი — 9:0.

● მძლეოსნობა

გფრ-ს ქალაქ ფილდერშტადტში გამართულ მძლეოსან-ათჭიდელთა ასპარეზობაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 25 წლის ევროპის ვერცხლის პრიზიორმა ი. ჰინგსემა, რომელმაც ორი დღის შემდეგ 8777 ქულა მოაგროვა, რაც 33 ქულით აღემატება მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონ დიდბრიტანელ დ. ტომსონის მიღწევას, რომლითაც ტომპსონმა შარშან ათენის ევროპის პირველობაზე გაიმარჯვა.

საერთოდ, ფილდერშტადტის სტარტები მაღალი შედეგებით აღინიშნა — 7 მძლეოსანმა დასძლია 8.000 ქულიანი ზღვარი.

ბრატისლავაში ადგილობრივ გაზეთ „პრავდისა" და სლოვაკიის ტელევიზიის პრიზის გათამაშებაში მოსკოველი მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ვ. პოლიაკოვი 550 სმ გადაევლო. სიმაღლეზე ხტომაში კუბის რეკორდი დაამყარა ხ. სენტელესმა — 229 სმ, სიგრძეზე მხტომელმა ჰ. დაუტემაც (გდრ), რომელმაც 714 სმ დაძლია და თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა. სამმხტომელი ვ. მარინეცი 17,21 მ გადაახტა და ჩეხოსლოვაკიის მიღწევა გააუმჯობესა.

ბერლინში შესანიშნავად გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი ბირთვის მკვრელი ქალი ი. სლუპიანეკი. მისი ბირთვი 22,40 მ-ზე დაეცა, ეს 5 სმ-ით ჩამორჩება მისსავე მსოფლიო მიღწევას. ევროპის ჩემპიონმა ფ. ემლემანმა 100 მეტრი 10,8 წამში გაირბინა.

● **ჭადრაკი**

თბილისელთა გამარჯვება

ფოთის სახალხო აკადემია „ფაზისში" დამთავრდა საქართველოს ზაფხულის VIII სპარტაკიადის მოჭადრაკეთა გუნდური ტურნირი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა შეჯიბრებამ. აქ სამ ქვეჯგუფში ორ-ორი გამარჯვებული გუნდი გამოდიოდა.

აღმავლობით იბრძოდა თბილისის გუნდი (დ. გედევანიშვილი, მ. ჭიპაშვილი, ე. მიქაელიანი, დ. ჩაჩიბაია, გ. თორია, გ. მაჭარაშვილი, ნინო მელაშვილი, გიული ალიხანაშვილი), რომელმაც სძლია რუსთავის (5,5:2,5), აჭარის (6,5:1,5), წყალტუბოს (7:1), აფხაზეთისა (5,5:2,5) და ქუთაისის (4,5:3,5) გუნდებს. 29 ქულით თბილისელებმა I ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

შემდეგ ადგილებზე არიან: II. ქუთაისის — 28,5, III. აჭარის — 20, IV-V. აფხაზეთის, რუსთავის — 14,5-14,5, VI. წყალტუბოს გუნდი — 13,5.

მე-40 ჩემპიონატი

სამტრედია, 7 ივნისი **(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).** გუშინ რაიონის ჭადრაკის კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ქალთა მე-40 ჩემპიონატის ფინალი. მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე. შემდეგ მოეწყო წილისყრა. აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი:

1. სოფიო ტერელაძე (სამტრედია), 2 ქეთევან აბაშიძე, 3. ქეთევან არახამია (ორივე — თბილისი), 4. ნონა გოგია (ცხაკაია), 5. ზეინაბ ხვედელიძე (სამტრედია), 6. ბელა მოსიაშვილი (რუსთავი), 7. მედეა ჩაჩიბაია (ცხაკაია), 8. ნანა გაბადაძე (ქუთაისი), 9. ნინო ფილია (თბილისი), 10. ეკატერინა ფახიროვა (ქუთაისი), 11. ივეტა კურცხალია (თბილისი), 12. აინურ სოფიევა (ბაქო, თამაშობს უკონკურსოდ), 13. ქეთევან მარდალეიშვილი, 14. ლელა თანდაშვილი, 15. გიული ალიხანაშვილი (სამივე — თბილისი), 16. ნანა ლექავა (სამტრედია), 17. მაია მკრტჩიანი (თბილისი), 18 ინგა ნინუა (სამტრედია).

I ტურში არახამიამ მოუგო ლექავას, მარდალეიშვილმა — მოსიაშვილს, სოფიევამ — ჩაჩიბაიას და გაბადაძემ — კურცხალიას. დაზავდნენ ხვედელიძე — თანდაშვილი. სამი პარტია გადაიდო. არ შედგა გოგია — ალიხანაშვილის შეხვედრა.

თ. ხუბაშვილი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო ოსტატი.

გაიმარჯვა ლ. ფსახისმა

ორბზის სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ფსახისმა 11-დან 9,5 ქულით გაიმარჯვა შესანიშნავი კუბელი მოჭადრაკის ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი XVIII საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქალაქ სენფუეგოში ჩატარდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 22 უე 07622